87 წელი თქვენთან ერთად!

87 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 88-ე წელი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №18 {7023} 16 სექტემბერი 2020 წელი • www. Terjola. gov. ge

საარჩევნო მარათონი ძალას იკრებს...

ვინ რა უპირატესობით მივა ფინიშთან?!



კორონავირუსმა ქვეყნის ეკონომიკისა და ჩვენი ჯიბეების გარდა, ბევრი ვერაფერი დააკლო 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კამპანიას. უფრო მეტიც, იგი უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე წარსულის ანალოგიურ შემთხვევებში. პირველი სააგიტაციო პლაკატები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ მგზავრთა მოსაცდელებში გამოჩნდა პოლიტიკურ პარტია „ევროპულ საქართველოს“ ეკუთვნოდა, მაგრამ მალევე—რამდენიმე დღეში, მათ გვერდით, მმართველი პარტიის სააგიტაციო პლაკატებიც გამოჩნდა. მართალია, ჯერჯერობით სხვა პარტიების თვალსაჩინო სააგიტაციო ანალოგიურ საშუალებებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვერ ვხედავთ, როგორც ჩანს, ამ რესურსებს ისინი შემდგომი ეტაპისათვის ინახავენ და ამჯერად ამომრჩევლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე აკეთებენ აქცენტებს...

ამ ეტაპზე არც პარტიების საარჩევნო პროგრამებსაც არ ვიცნობთ ჯეროვნად, არც კანდიდატები და პარტიული სიებია დარეგისტრირებული საარჩევნო კომისიებში... თუმც ამ თვალსაზრისით საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის მიხედვით საკმარისი დროა დარჩენილი.

☞2

15 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი დაიწყო... გილოცავთ!!!

ახალ სასწავლო წელს სიქთარვაში ახალი სკოლა გაიხსნა...

დაწვრილებით მომავალ ნომერში

გვახსოვდეს, პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები საქართველოს დემოკრატიის საერთაშორისო გამოცდაა!

ფრთხილად, კორონავირუსმა მწვავედ შემოგვიტია!

ნაადრევი გამოდგა ჩვენი სიხარული, რომ კორონავირუსს კარგად გავუმკლავდით, თუმც, გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ქვეყანამ მართლაც მისაბაძად იმუშავა ადრეულ ეტაპზე. ამაზე შედეგებიც მეტყველებენ, თებერვლიდან აგვისტომდე, ანუ 7 თვის მანძილზე საქართველოში კორონავირუსით ყოველდღიური დაინფიცირება ორნიშნა რიცხვს არასდროს გადაცილებია, გარდაიცვალა კი მხოლოდ 19. ეს მაშინ, როცა მეზობელ ქვეყნებში ამ მხრივ ახლაც მეტად მძიმე სურათია შექმნილი.

☞2

გვახსოვდეს აფხაზეთი!

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა...

ქეთევან შეყრილაძე: „რომ არა შექმნილი ეპიდსიტუაცია, წლის ანგარიში გაცილებით მსუყე და მრავალფეროვანი იქნებოდა“

☞3

მარიამ ბარდაველიძე

ჩვენი გაზეთის ამ გვერდზე უნდა განთავსებულიყო ტექსტი საქველმოქმედო განცხადების—მარიამ ბარდაველიძისათვის დახმარების გაწევის თაობაზე, რომელსაც მცირე ხნის წინ დაუდგინეს მწვავე მიელოიდური ლეიკემია ბლასტების სიმწიფით. იგი საჭიროებდა საზღვარგარეთ მკურნალობას, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი მდგომარეობის დასტაბილურებამდე გარდაიცვალა. გაზეთი „თერჯოლა“ მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

„თერჯოლამედში“ პირველი ბავშვი დაიბადა!

☞4

საარჩევნო მარათონი ძალას იკრებს...

ვინ რა უპირატესობით მივა ფინიშთან?!

1☞

საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია, რომ თერჯოლაში, 31 ოქტომბერს, ზესტაფონი-თერჯოლა-ტყიბული-ბაღდათის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებთან ერთად ამომრჩეველმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი უნდა აირჩიოს. როცა ამის საშუალება გაჩნდება ჩვენი გაზეთი აუცილებლად წარმოგიდგენთ იმ კანდიდატებს, რომლებსაც ამ ორ მნიშვნელოვან პოზიციაზე დაარეგისტრირებს საარჩევნო კომისია. რაც შეეხება საარჩევნო ფასიან და უფასო რეკლამას, კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საარჩევნო სუბიექტთა საყურადღებოდ მორიგ ჯერზე კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ გაზეთს საკმარისად აქვს გამოყოფილი ფასიანი და უფასო რეკლამისათვის საჭირო ფართები. აქვე გთავაზობთ შიდა სარედაქციო ბრძანების ტექსტს:

2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით გაზეთის ყოველ ნომერში თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის გამოიყოს უფასო ფართი ¼5 ფორმატის ოდენობით მე-5 გვერდზე. ხოლო ფასიანი რეკლამისათვის ყოველ სუბიექტზე მე-4 გვერდზე იგივე ფორმატზე დაწესდეს 120 ლარი.

იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო სუბიექტის მიერ მოთხოვნილი იქნება დამატებითი ფართი, ფასი დადგინდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით პროდუქციაზე ტირაჟის და დამკვეთის მითითებით გამოიყოფა ნებისმიერი გვერდი გარდა პირველი და მეშვიდე გვერდისა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში, საარჩევნო კამპანიის უკვე განვლილ სასტარტო ეტაპზე, რაიმე განსაკუთრებული ფაქტი არ დაფიქსირებულა თუ არ ჩავთვლით ქართულ საარჩევნო მარათონის იმ ქრონიკულ ავადმყოფობას, რასაც საარჩევნო პლაკატების ჩამოხევები ჰქვია.

სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები ჩვენი პოლიტიკური სიმწიფის საზომიცაა მნიშვნელოვნად...

იმედი დავიტოვოთ, რომ ასეთი ფაქტები კამპანიის დარჩენილ ეტაპზე აღარ განმეორდება.

ჩვენის მხრივ კი გულწრფელად ვუსურვებთ წარმატებებს საარჩევნო მარათონის მონაწილეებს, ამომრჩევლებს კი სასურველი პარტიისა და კანდიდატისათის ხმის დამოუკიდებლად მიცემას.

„თერჯოლა“

ფრთხილად, კორონავირუსმა მწვავედ შემოგვიტია!

1☞

ასეთი ვითარების ფონზე, როცა თანდათანობით იხსნებოდა საგანგებო მდგომარეობის დროს დაწესებული შეზღუდვები და დაანონსდა ახალი სასწავლო წლის დაწყებაც, სექტემბრის პირველ დეკადასა და მეორე დეკადის დასაწყისში საქართველოში ყოველდიურად დაფიქსირდა კორონავირუსით დაინფიცირების ათეულობით შემთხვევა, 11 სექტემბერს კი დაინფიცირებულთა რაოდენობამ (98 ადამიანი) მიმდინარე წლის ყველაზე რეკორდულ მაჩვენებელს თითქმის სამჯერ გადააჭარბა! 13 სექტემბერს ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზარდა და 165 ერთეული შეადგინა.

ფაქტია, რომ ყველაფერი ჩვენი—მოქალაქეების ბრალია—მოვეშვით, გავთამამდით, აღარ ვხმარობთ პირბადეებს, აფთიაქებსა და საავადმყოფოების გარდა, უმეტესგან არც მიმსვლელს უკეთია იგი და არც დამხდურს, კვლავ ტარდება დიდი ქორწილები, დაბადების დღეები, ქელეხები... რომლებიც ამჟამად კვლავ აკრძალულია.

ისღა დაგვრჩენია, ახლა მაინც ვირწმუნოთ, რომ კორონავირუსი არსადაც არ წასულა და რომ მან, უფრო მეტი ფრონტით შემოგვიტია ვიდრე პირველად!

ისღა დაგვრჩენია ზუსტად დავიცვათ პრევენციისათვის დადგენილი წესები...

მათი დაცვა მოვთხოვოთ საკუთარ თავსაც და სხვასაც, ვინც არ იცავს ჯანმოს რეკომენდაციებს, ხოლო სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მივმართოთ ექიმს.

„თერჯოლა“

სექტემბერი

21 სექტემბერი

ღვთისმშობლობა

26 სექტემბერი

ქეთევანობა

27 სექტემბერი

ჯვართამაღლება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თავმჯდომარის, ნინო ჯანელიძის ხელმძღვანელობით, საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი, მერის მოადგილე მანუჩარ რობაქიძე და მერიის სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 4 საკითხი განიხილეს და მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებას, რაც ქ. თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის 38,3 ათასი ლარის დამატებას გულისხმობს.

ასევე მხარდაჭერილია სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოსთვის უზურფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით უძრავი ქონების გადაცემის საკითხი.

წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ განკარგულებას უყარეს კენჭი. ამასთან, დაამტკიცეს სოფელ ზედა სიმონეთში ქუჩისთვის აგვისტოს ომში დაღუპული ლეიტენანტ ალია ბარდაველიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ განკარგულება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N 46 44

02 / 09 / 2020

02 / 09 / 2020 საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 31 აგვისტოს N 31 / 08 / 01 განკარგულებით საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები დაინიშნა 2020 წლის 31 ოქტომბერს. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად ევალებათ არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში გამოყონ და გამოაქვეყნონ იმ ადგილებისა და სტენდების ჩამონათვალი, სადაც საარჩევნო სუბიექტებს შეეძლებათ საარჩევნო პლაკატების გაკვრა და გამოფენა, აგრეთვე იმ შენობა–ნაგებობების ნუსხის განსაზღვრა, სადაც საარჩევნო სუბიექტებისათვის შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების გამართვა. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი''–ს 45–ე მუხლის მე–8, მე-9 ნაწილების და 46–ე მუხლის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.

1.საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისათვის საარჩევნო ღონისძიებების გასამართავად გამოიყოს:

ა) ა(ა)იპ — თერჯოლის კულტურის სახლთან არსებული დარბაზი (მისამართი: ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქუჩა ქ. №7).

ბ) ა(ა)იპ — თერჯოლის სპორტულ–გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის ადმინისტრაციული შენობის დარბაზი (მისამართი: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. N103);

გ) ა (ა) ი პ მოსწავლე-ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალურ ცენტრთან არსებული დარბაზი (მისამართი: ქ. თერჯოლა, მერაბ კოსტავას ქუჩა ქ. №4).

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატებისა და ბანერების გასაკრავად და გამოსაფენად გამოიყოს შემდეგი ადგილები:

ა) ქ. თერჯოლისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიაზე არსებული მგზავრთა მოსაცდელები;

ბ) მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული გარე განათების ბოძები;

გ) რუსთაველის ქუჩაზე შუქნიშნიდან ავტოსადგურის მიმართულებით (მარცხენა მხარეს) არსებული კედელი; დ) ყოფილი კინოთეატრ ,,გამარჯვების“ ადმინისტრაციული შენობა;

3. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს სხვა შენობა–ნაგებობებსა და ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 2.

აიკრძალოს საარჩევნო პლაკატებისა და ბანერების გაკვრა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ:

ა) საკულტო ნაგებობებზე;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების, საჯარო სკოლების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;

გ) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ა.(ა).ი.პ), რომლებიც ეწევიან სააღმზრდელო და საგანმანათლებლო საქმიანობას, ადმინისტრაციული შენობების კედლებზე;

დ) იმ დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების კედლებზე, რომლებიც გამოიყენება და დროებით სარგებლობაში გადაეცემათ თერჯოლის №49 საოლქო-საარჩევნო კომისიას - შემდგომში საარჩევნო უბნების განთავსებისათვის.

ე) საგზაო ნიშნებზე.

მუხლი 3.

დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს უზრუნველყოს, თერჯოლის №49 საოლქო საარჩევნო კომისიას უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში აუქციონის გარეშე გადასცეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები და მათში განთავსებული ინვენტარი - შემდგომში საარჩევნო უბნების განთავსებისა და ფუნქციონირების მიზნით. ამავდროულად მერია ვალდებულია დაფაროს გადაცემული შენობა-ნაგებობ(ებ)ის კომუნალური ხარჯები.

მუხლი 4.

განკარგულება გადაეგზავნოს თერჯოლის №49 საოლქო საარჩევნო კომისიას სახელმძღვანელოდ და ცესკოს - ვებ გვერდზე გამოქვეყნებისათვის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 5.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ამ განკარგულების გამოქვეყნება ვებ-გვერდზე და ადგილობრივ პრესაში.

მუხლი 6.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7).

მუხლი 7.

განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის
მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

რომ არა შექმნილი ეპიდსიტუაცია, წლის ანგარიში გაცილებით მსუყე და მრავალფეროვანი იქნებოდა

„ყოვლად სახიერო უფალო, გარდამოგვივლინენ ჩუენ მადლი სულისა წმიდისა შენისა, მომნიჭებელი გულისხმისყოფისა და განმაძლიერებელი, ძალთა სულთა ჩუენთასა, რათა ჩუენ, ყურადმღებელნი გარდამოცემულისა ჩუენდას წავლისა, აღვიზარდნეთ შენ შემოქმედისა ჩუენისა სადიდებლად, მშობელთა ჩუენთა სანუგეშოდ, ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ“.

უფლის ნებით, 15 სექტემბერს კიდევ ერთი, მორიგი სასწავლო წლის დაწყების მაუწყებელი ზარია დაირეკა და სხვებთან ერთად, ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლების მერხებს 3645 მოსწავლე მიუჯდა. აქედან 303 პირველკლასელი...

საამისო მზადება კი კარგახნით ადრე დაიწყო...

ემზადებოდა სამინისტრო...

ემზადებოდა მუნიციპალიტეტი...

ემზადებოდნენ სკოლები...

მშობლები, მოსწავლეები და მასწავლებლები...

***

შექმნილმა სიტუაციამ და ახალმა რეგულაციებმა ბევრი რამ შეცვალა და ახლებურად დაალაგა. . .

კიდევ უფრო აქტუალური გახდა ინფრასტრუქტურული საკითხები და ამ მხრივ სკოლებში არსებული მდგომარეობა.

ჩვენც ამით დავიწყოთ:

- მუნიციპალიტეტში ამჟამად სამი სასკოლო კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს - სიქთარვის საჯარო სკოლამ მოსწავლეები 15 სექტემბერსვე მიიღო, ხოლო ჩხარის №2 და ზედა საზანოს საჯარო სკოლის მეორე კორპუსი ნოემბრის დასაწყისისთვის დასრულდება.
- სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები პარალელურ რეჟიმში 14 საჯარო სკოლაში მიმდინარეობდა და მათ უმეტესობაში ეს სამუშაოები 15 სექტემბრისთვის დასრულდა.
- სკოლებს მიღებული აქვთ სასკოლო სახელმძღვანელოები, პირველკლასელებისათვის გადასაცემი ბუკები, სადეზინფექციო საშუალებები, დეზობარიერები, უკონტაქტო თერმომეტრები თერმოსკრინინგის ჩასატარებლად, პირბადეები და დისპენსერები.
- სკოლები დარეგისტრირებულნი არიან შესაბამის ბმულზე მონიტორინგის გასავლელად, რამოდენიმე სკოლამ ეს პროცესი უკვე წარმატებულად გაიარა.
- სკოლებში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები, რომლებიც შეასრულებენ ან და მონიტორინგს გაუწევენ ჯანმოს რეგულაციების შესრულებას.

რეგულაციები შეეხება:

- სწავლის დაწყებასა და სკოლის დასუფთავება-ჰიგიენას:
- სკოლის სივრცეში გადაადგილებას:
- სასწავლო პროცესის ორგანიზებას:
- სავალდებულო დისტანცია მოსწავლეებს შორის საგაკვეთილო პროცესის დროს დახურულ და ღია სივრცეებში:
- კვების პროცესს
- სასწავლო დაწესებულების ბიბლიოთეკას
- მოსწავლეებისა და მასწავლებლების ვალდებულებებს
- მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებს
- მოსწავლეთა ტრანსპორტირებას და ა. შ.

სკოლებმა თავიანთი ვალდებულებები ისედაც იციან, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მინდა შევაჩერო მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებსა და მოსწავლეების ვალდებულებებზე. კერძოდ,

მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებები:

ა) ცხელების / რესპირატორული დაავადების შემთხვევაში არ გაუშვათ მოსწავლე სკოლაში;

ბ) ცხელების / რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დროულად გაიყვანეთ მოსწავლე სკოლიდან და უზრუნველყავით ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში,

შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პსრ-ტესტირების ჩასატარებლად;

გ) სახლის პირობებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში შეატყობინეთ კლასის დამრიგებელს;

დ) ცხელების ან სხვა რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენისას უზრუნველყავით ბავშვისმიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პსრ-ტესტირების ჩასატარებლად.

მოსწავლეების ვალდებულებები:

ა) დაიცავით ჰიგიენის წესები;

ბ) დაიცავით სასწავლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესები;

გ) დაიმუშავეთ ხელები სადეზინფექციო ხსნარით იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა თხევადი საპნით და ერთჯერადი ხელსახოცით გაშრობა;

დ) დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით ხილული დაბინძურების შემთხვევაში ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას;

ე) დახველებისა და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი (რომელიც ერთჯერადი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება გადაგდებას) ან მოხრილი იდაყვი;

ვ) მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას;

ზ) სწავლების პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა / მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება;

თ) არ გამოიყენოთ სხვისი ნივთები;

ი) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.

ჯანმოს რეგულაციების გათვალისწინებით, სკოლებს უკვე შედგენილი აქვთ, როგორც სასწავლო, ასევე საგანგებო მოქმედების გეგმები.

ჩვენი რაიონის სინამდვილეში, თუ ეპიდსიტუაცია არ დაიძაბა, შერეულ სწავლებაზე გადასვლა მხოლოდ თერჯოლის №1 საჯარო სკოლას უწევს. სხვა სკოლებში სწავლება ფიზიკურად, ერთ ან ორ ცვლაში წარიმართება.

გასული სასწავლო წლის მონაგარი

რაც შეეხება გასულ სასწავლო წელს: მიუხედავად მოულოდნელად შექმნილი საგანგებო სიტუაციისა, მუნიციპალიტეტის სკოლებმა შეძლეს ღირსეულად გაერთვათ თავი გამოწვევისათვის და სასწავლო წელი შედეგიანად დაესრულებიათ.

სკოლის საშუალო საფეხური სხვადასხვა წარმატებით 255 ახალგაზრდამ დაძლია. აქედან, 47 მედალოსანია - 34 ოქრო და 13 ვერცხლი;

თერჯოლის №1 საჯარო სკოლა - 5 ოქრო და 1 ვერცხლი

თერჯოლის №2 – 1 ოქრო

ალისუბნის №1 – 3 ოქრო

ახალთერჯოლა - 1 ოქრო

გოდოგანი - 1 ოქრო

ეწერი - 1 ოქრო

ზედა საზანო - 2 ოქრო

ზედა სიმონეთი - 2 ვერცხლი

თუზი - 2 ოქრო

ნაგარევი - 1 ოქრო

რუფოთი - 1 ოქრო და 2 ვერცხლი

სიქთარვა - 1 ოქრო და 1 ვერცხლი

სიმონეთის №1 – 3 ოქრო და 2 ვერცხლი

სიმონეთის №2 – 1 ოქრო

ღვანკითი - 3 ოქრო

ჭოგნარი - 2 ვერცხლი

ჩხარის №1 – 2 ოქრო და 3 ვერცხლი

მზეკაბანი 2007 – 6 ოქრო.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული იყო 179 კურსდამთავრებული, რომელთაგანაც 153 ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა.

მათ შორის

100% გრანტით— 2 (**თამთა გოგიაშვილი** - რუფოთი და **ქრისტინე ჩიტიძე** - ჩხარის №1)

70% გრანტით— 5 (თერჯოლის N1 საჯარო სკოლა -**სახელაშვილი ელისაბედი** და **ცქიფურიშვილი თეკლა,** რუფოთის საჯარო სკოლა—**თამარ ჭანკვეტაძე,** სსიპ ქვედა სიმონეთის N2 საჯარო სკოლა—**თამრიკო ცირეკიძე,** შპს „მზეკაბანი 2007“—**თამაზ მემანიშვილი.**)

50% გრანტით—17

სახელმწიფო დაფინანსებით—17

საბაზო საფეხური წარმატებით დაასრულა და საჩუქრად ლეპტოპი დაიმსახურა 69 მოსწავლემ:

თერჯოლის №1 საჯარო სკოლა - 13

თერჯოლის №2 – 5

ალისუბნის №1 – 5

ალისუბნის №2 - 2

ახალთერჯოლა - 1

ბარდუბანი - 1

გოგნი - 3

ეწერი - 1

ზედა საზანო - 1

ზედა სიმონეთი - 4

თუზი - 9

ნაგარევი - 1

სიქთარვა - 5

სიმონეთის №1 – 1

ღვანკითი - 6

ჭოგნარი - 6

ჩხარის №1 – 1

ჩხარის №2 - 2

ძევრი - 2

დამეთანხმებით, რომ არა შექმნილი ეპიდსიტუაცია, წლის ანგარიში გაცილებით მსუყე და მრავალფეროვანი იქნებოდა. რესურსცენტრის და არა მარტო რესურსცენტრის, მიერ დაგეგმილი არაერთი ღონისძიება დარჩა განუხორციელებელი.

იმედია, ახალი სასწავლო წელი მოგვცემს მეტ საშუალებას...

იმედია, ამდენი სამზადისი და ძალისხმევა სამინისტროების, მუნიციპალიტეტის, რესურსცენტრისა თუ სკოლების მხრიდან ამაოდ არ ჩაივლის და ჩვენს მოსწავლე-ახალგაზრდობას მიეცემა საშუალება სასწავლო წელი თავიანთ სკოლებში, მერხებთან გაატარონ.

ქეთევან შეყრილაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელი

2020 წლის 15 სექტემბერს, სიქთარველმა მოსწავლეებმა ახალი სასწავლო წელი სკოლის ახალ შენობაში დაიწყეს...

შეხვედრა წარმატებულ ახალგაზრდებთან...

...დადგა სექტემბერი, განახლდა სწავლა საჯარო და კერძო სკოლებში. სკოლის ზარმა, ძლიერმა და ყოვლისმომცველმა ისევ მოუხმო მოსწავლეებს.

სახეზეა კურსდამთავრებულთა შედეგებიც. წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად 179 აბიტურიენტი დარეგისტრირდა, რომელთაგან 153 სტუდენტი გახდა. ორმა 100%-იანი, ხუთმა 70%-იანი და 17 50%-იანი სახელმწიფო გრანტი მოიპოვა.

სექტემბრის დასაწყისში, თერჯოლის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, პირველკურსელთა ერთ ნაწილს ახლად რეაბილიტირებულ სკვერში შეხვდნენ, სტუდენტობა მიულოცეს მათ და წარმატებები უსურვეს. **„ძვირფასო ახალგაზრდებო, გილოცავთ ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას. იწყება თქვენი ცხოვრების დაუვიწყარი ეტაპი—სტუდენტობა. გისურვებთ წარმატებას, წინსვლას, პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას. თქვენი თაობის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე.**

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის სურვილია, თქვენთან თანამშრომლობა. იმედს გამოვთქვამ, რომ დაუბრუნდებით მშობლიურ თერჯოლას უკვე პროფესიონალები, ისარგებლებთ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სხვადასხვა პროგრამით, დასაქმდებით საჯარო სამსახურებში და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანთ როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტის, ასევე ქვეყნის განვითარებაში, “—მიმართა სტუდენტებს **ლაშა გოგიაშვილმა.**

თანატოლებს სტუდენტობა ასევე მიულოცეს 100%—გრანტის მფლობელმა **ქრისტინე ჩიტიძემ** და **თამთა გოგიაშვილმა,** რომლებმაც მადლობა გადაუხადეს პედაგოგებს და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

შეხვედრას ესწრებოდნენ საჯარო სკოლების მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგთა ერთი ნაწილი—ანსამბლმა „მასპინძელომ“ კი მოხიბლა შეხვედრის მონაწილენი.

„თერჯოლამედში“ პირველი ბავშვი დაიბადა!

ახალშობილის სამედიცინო ბარათი №1

...დარინა ნიჟარაძე—ოთხი კილო და 400 გრამი, სიგრძე 53 სმ, დაბადებული 2020 წლის 3 სექტემბერს, 9 საათზე, მშობლები: თამარ პატარიძე, ლუდოვიკო ნიჟარაძე.

დარინას დედულეთი სიქთარვაა, მამა ოფშკვითელია, მშობლებს ჰქონდათ ინფორმაცია კლინიკა „თერჯოლამედზე“ და კერძოდ სამშობიარო სახლზე, იქ მომუშავე ექიმებზე, არსებულ პირობებზე, სხვა თანამშრომლებზე. ბოლო სამი კონსულტაცია თამარმა აქ გაიარა, მშობიარობა აქ გადაწყვიტა და ახლა ამბობს, რომ არ შემცდარა. „პირველი შვილი თერჯოლაში გავაჩინე, საკეისრო კვეთით, დარინასაც გარკვეული საჭიროების გამო ოპერაციული ჩარევა დასჭირდა, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მეც კარგად ვარ და პატარაც, სწორი აღმოჩნდა ინფორმაცია, რომელიც გვქონდა. სამშობიარო სახლში ყველაფერია, რაც მშობიარეს და ახალშობილს სჭირდება, ექიმები და სხვა პერსონალი თავს მევლება, მადლობა მათ. ჩემი ოჯახი მოგებული დარჩა ფინანსურადაც, აქ გაცილებით ნაკლები გადასახადია“.

თამარმა სამშობიარო სახლში სრული ოთხი დღე გაატარა. შვიდ სექტემბერს იგი გაეწერა და, როგორც წესი, ორმოც დღეს თავის სახლს იქნება.

ერთ ათეულზე მეტი წლის შემდეგ...

სამშობიარო სახლის უფროსმა, მეანგინეკოლოგმა მინდია კოპალეიშვილმა ოპერაცია 9 საათზე დაიწყო, ბავშვი უკვე დაბადებული იყო, როცა თანამშრომლები სრულად შეიკრიბნენ, თვითოეულმა იგრძნო სიხარული ახალი სიცოცხლის მოვლინების და იმის გამოც, რომ ოპერაცია წარმატებით დამთავრდა.

ოპერაციის დროს ბატონ მინდიას დახმარებას უწევდა ქალთა კონსულტაციის გამგე, მეანგინეკოლოგი ლალი გვეტაძე. თერჯოლამ იცის, რომ ქალბატონი ლალი, ათეული წლების განმავლობაში, სამშობიარო სახლში მუშაობდა ექიმად და გამგედ, ასეულობით სიხარული ჰქონია და ბედნიერია 10 წლით „შეჩერებული სიხარული“ კვლავ რომ განიცადა.

ანესთეზიოლოგმა გივი კოჭლამაზიშვილმა ზუსტად განსაზღვრა გაუმტკივნეულობის დრო, ხოლო ნეონატოლოგმა, ჩვილთა პედიატრმა მაია კვეტენაძემ ოპერაციის დამთავრებისთანავე „ჩაიბარა“ ახალშობილი.

...და გაიხარა დარინას დაბადებით სამშობიარო სახლის და „თერჯოლამედის“ ყველა თანამშრომელმა და ყველა თერჯოლელმა, ვისაც ყურს მისწვდა „თერჯოლამედის“ სამშობიარო სახლში პირველი ბავშვის დაბადების ამბავი.

ეს ერთი და სხვა ათასი!

***

მინდია კოპალეიშვილი 3 სექტემბერს ყოფილა დაბადებული. დაბადების დღეს ულოცავდნენ „თერჯოლამედის“ თანამშრომლები, ახლობლები, უამრავი მეგობარი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან, პაციენტები და აქა-იქ ისინიც, ვისი

დაბადების სიხარული სხვადასხვა დროს განუცდია საკეისრო კვეთის თუ ბუნებრივი მშობიაროს შემდეგ... იხდიდა ბატონი მინდია მადლობას და ყველას უამბობდა, რომ „თერჯოლამედში“ მის ახალ სამუშაო ადგილზე პირველი ოპერაცია ჩატარდა, რომ გაიხსნა ახალშობილის სამედიცინო ბარათი №1.

იმ დღეს არ დაღლილა ბატონი მინდია, არც ბატონი გივი, არც ქალბატონები ლალი და მაია. იმდენი მშობიარე გვისურვებია, რამდენიც დაგღლით...

ჟუჟუნა ცხადაძე

გადადებული დაპირება...

მცირე ექსკურსი წარსულში. თერჯოლის №1 საჯარო სკოლაში ჩატარებული საახალწლო ღონისძიება დატვირთული იყო სხვადასხვა სანახაობით და აქტივობით. ეს არ იყო მარტო ზეიმი, ლექსი და სიმღერა, მოსწავლეებმა აჩვენეს, რომ ბევრი უსწავლიათ, მრავალ კითხვას გაეცა პასუხი, მრავლად იყო ნომინაციებიც...

მაშინ გამოვლინდა გამარჯვებულიც, დღეს უკვე XI კლასი.

* * *

გია ლილუაშვილი—მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი და №1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ხშირად ესწრება ღონისძიებებს და დაპირებებსაც ხშირად იძლევა, რომელსაც ყოველთვის ასრულებს. ბატონი გია 2019 წლის იანვარში, გამარჯვებულ X კლასს ექსკურსიის დაფინანსებას დაპირდა. დაპირების შესრულება გადაიდო გარკვეული მიზეზების გამო და 2020 წლის აგვისტოში შესრულდა.

XI კლასელებმა ინტერესით დაათვალიერეს შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი.

* * *

ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარმა ექსკურსია თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს, აღმზრდელებსა და მშობლებსაც დაუფინანსა, მათაც დენდროლოგიური პარკი დაათვალიერეს.

ინფრასტრუქტურული პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილის განხორციელების სამუშაოები ფინიშის სწორზე გავიდა...

ამ მცირე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი თემის გასაშუქებელი საინფორმაციო მასალის ეს სათაური, შეიძლება არც თუ მთლად მართებული იყოს, რადგან იმ ათეულობით სხვადასხვა პროფილის ინფრასტრუქტურული პროექტებიდან, რომლებიც თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა განხორციელდეს, ბევრზე მუშაობა უკვე კარგახანია დასრულდა კიდეც!

პირველ რიგში რეგიონული განვითარების ფონდის მიერ ჩვენი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით განსახორციელებელ პროექტებზე. სულ ასეთი იყო 10 პროექტი. აქედან 6 სასოფლო გზების რეაბილიტაციას ეხებოდა, რომელთაგან უკვე დამთავრებულია ექვსივე (ჯგილათი—ვარდიგორა, ალისუბანი-სკანდე, ქვ. სიმონეთი, ნახშირღელე-ჩუბინიძეები, ხუჯაძეები, ნახშირღელე—ნიკოლაძეები, გოფანთას ეკლესიამდე). აქტიურად მიმდინარეობს, ზედა სიმონეთის წყალსადენის მოწყობა, ფაქტიურად უკვე დასრულების ფაზაშია თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოების ყველა პროექტი, გარდა დავით კლდიაშვილის მემორიალისა...

სრულად დამთავრების ფაზაშია „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული პროექტები...

იმის მხედველობაში მიღებით, რომ მიმდინარე ეტაპი, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით მეტად საპასუხისმგებლოა, ნოემბრის თვიდან რედაქცია მკითხველს შესთავაზებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების ინფორმაციებს რუბრიკით: „რა კეთდება ჩვენს სოფლებში“...

„თერჯოლა“

გზები, გზები გვინდა, კიდევ გზები გვინდა!

პერიფრაზად დიდი გალაკტიონის სიტყვები მოვიხმეთ. ვფიქრობთ, სწორადაც მოვიქეცით. ადამიანებს ხომ ოდითგან, ბევრ სხვა საზრუნავთან ერთად, უგზოობაც აწუხებდათ და დღესაც აწუხებთ.

არა, იმასაც ვერ ვიტყვით, რომ გზა არის ყველაფერი და სხვა არაფერი, მაგრამ მკითხველი დაგვეთანხმება, რომ კარგი გზის გარეშე კარგი ცხოვრება ვერ გვექნება; ვერ შევქმნით იმ კომფორტს, რომლისთვისაც ასე გულდაგულ ვიღვწით დღენიადაგ. ამიტომაც არის, რომ სახელმწიფო ყოველწლიურად უამრავ ფულად სახსრებს გამოყოფს ახალი გზების მშენებლობისა და არსებულის შეკეთებარეაბილიტაციისათვის.

ამ მიმართებით ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება ჩვენს მუნიციპალიტეტში. ერთ-ერთი მათგანის შესახებ ახლა გიამბობთ:

ქ. თერჯოლაში დამთავრდა ეგ.წ. გოფანმთის ეკლესია-სალოცავისკენ მიმავალი საავტომობილო გზის პირველი ეტაპის რეაბილიტაცია, რომელიც ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია შპს „მეკამ“ (დირექტორი კახი კვატაია) შეასრულა—710 ათასი ლარი დაჯდა. თანხა რეგიონული განვითარების ფონდმა გამოყო.

ორკილომეტრიანი არმირებული ბეტონის საფარის დაგებას წინ უძღოდა არსებული გზის გაფართოებისა და ცემენტის ნარევი მასის დასხმისათვის აუცილებელი წინასწარი სამუშაოები.

აღნიშნული, თითქმის ფუნქციადაკარგული გზის განახლება-კეთილმოწყობას მოსახლეობა მრავალი წლის განმავლობაში ნატრობდა.

მეწყერული პროცესები საშიშროებას რომ უქმნიდა საცხოვრებელ სახლებს, ეს კიდევ ცალკე თემაა... გარკვეულ სირთულეებს ქმნიდა ხუთი საყრდენი კედლის მოწყობა; თავისთავად ცხადია შრომატევადი იყო სანიაღვრე არხების განახლება-გაკეთება და ა.შ. ასრულდა მრავალი მოსახლისა თუ სატრანსპორტო საშუალებებით მოსარგებლეთა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტი...

აქაური მკვიდრნი გულითად მადლობას უხდიან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და უცხო გამვლელთაც კი „კაი გამარჯობა თქვენიო“—გულიანად რომ ესალმებოდნენ მზით გატრუსულ ბიჭებს, და...

და... რა თქმა უნდა, ვინ, როგორ—შესაძლებლობის ფარგლებში ჭიქა ღვინოს (თავის „მოწყობილობით“) არ იშურებდნენ გზის მშენებლებისთვის. „აბა, როგორო, გენაცვალეო, ეს თერჯოლაოო, იმერეთიო... საშვილიშვილო საქმეს გვიკეთებთო... ილოცებიან, ხარობენ... ეს ერთი და სხვა მრავალიო...

***

დიახ, კიდევ ბევრი გვაქვს გზაგასაკვლევი და გზაგასაკვალავი...

ახალი და ახალი საშური საქმეები გვახედებენ თავისკენ...

ეს კუნთმაგარი და მაჯაძლიერი ბიჭები, ფოტოაპარატის დანახვაზე, რომ გაგვიხალისდნენ—მზად არიან ამისთვის.

გაგაცნობთ თითოეულ მათგანს: დირექტორზე ზემოთ მოგახსენეთ. მთავარი ინჟინერი კობა კვატაია გახლავთ, გია ჯანელიძე—ინჟინერი, გიორგი არაბიძე—მებეტონე, აკაკი ტოფაძე—მეარმატურე, გაგა აბულაძე—მებეტონე, გიორგი ქასრაშვილი—მებეტონე, ტარიელ გიორგობიანი—ოპერატორი, გურამ ჭანტურიძე—ოპერატორი; გიორგი კუპატაძე—სპეციალისტი.

გმადლობთ ბიჭებო.

მომავალ შეხვედრამდე ისევ სამშენებლო მოედნებზე...

ნუგზარ გამყრელიძე

ისევ მაწანწალა ძაღლების შესახებ

მაწანწალა ძაღლების პრობლემა არის და ალბათ კვლავაც დიდხანს იქნება, რადგან მათი უფლებები მყარადაა დაცული. ამას წინათ მე და ჩემი კოლეგა, სასამართლოს შენობის სიახლოვეს, სასწაულად გადავურჩით მაწანწალა ძაღლის მიერ დაკბენას. რა არ მოეწონა ჩვენი ვერ გეტყვით, რომ ნებიერად წამოწოლილი ჩვენს დანახვაზე ფეხზე წამოხტა და გაავებული ღრენით მოგვარდა. იმ დღეს კი გავეცალეთ მშვიდობით მაწანწალას მიერ დაბევებულ ადგილს, მაგრამ კოკა ყოველთვის ხომ არ მოიტანს წყალს? სწორედ ამას ჩივიან ქალაქის მცხოვრებლები. განსაკუთრებით ისინი, ვისაც პატარა ბავშვები ჰყავთ და მაღაზიებშიც ხშირად უშვებენ რაიმეს მოსატანად. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დღე არ გავა მომრავლებულმა მაწანწალა ძაღლებმა მუსრი არ გაავლონ შინაურ ფრინველს.

ასეთ დროს ვის გინდა მიმართო თუ არა მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურს (მაწანწალა ძაღლების ბუნებიდან ამოღება მათ კომპეტენციაში შედის) და ცხადია, ჩვენც ასე მოვიქეცით. აბა რა მოგახსენოთ სანუგეშო, გაგვიმარტა ამ სამსახურის ხელმძღვანელმა ტარიელ ფანჩულიძემ: როგორც ყოველთვის კონკრეტულ შემთხვევაში ამას წინათაც გამოვიძახეთ ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის მუშაკები, ზუსტად იმ დროს მოგვიხდა მაწანწალა ძაღლის აყვანა, კაი მსუქანი დედალი რომ ჰქონდა ჩაბღუჯული თათებში. წაიყვანეს თავიანთ უწყებაში, დაამუშავეს, მოიყვანეს უკან და ზუსტად იმ ადგილას დასვეს, საიდანაც წაიყვანეს. რა გინდა ახლა რომ ქნა, დადგენილი წესები ასე ითვალისწინებს, ერთადერთი ნუგეში ისაა, რომ აცრილია და თუ ვინმე დაკბინა ცოფის ეპიდემიაზე აღარაა საშიში და კიდევ—აღარ გამრავლდებიან.

გამოდის, რომ სოლიდური თანხები, რომელიც მაწანწალა ძაღლების ბუნებიდან ამოღებისათვის ერიცხება სპეციალურ სამსახურს, გარემოდან ძაღლების იზოლირებას კი არ ხმარდება, არამედ მათ ვეტერინარულ და სხვა კუთხით მომსახურებას. აი, რა გვითხრა ამასთან დაკავშირებით ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის შესყიდვების მთავარმა სპეციალისტმა მედეა გვენეტაძემ: „ძაღლების თავშესაფრების მომსახურებისათვის (ძაღლების გარიდება) გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი SPA200001265 მიმდინარე წლის 19 მარტს, რომლის ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს.

ტენდერის პირობებიდან გამომდინარე ხდება უსახლკარო ცხოველთა იზოლირება ჰუმანური/უმტკივნეულო მეთოდით ლასოთი/ბადით, დეჰელმენტიზაცია (დამუშავება ჭიებზე, ბაქტერიებზე), სტერილიზაცია/კასტრაცია, ანტირაბიული და კომპლექსური ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია (სპეციალური ძაღლისათვის განკუთვნილი ქარხნული დანომრილი საჭდით, ბირკით), ყველა საჭირო პროცედურის შესრულების შემდგომ დაბრუნება აყვანის ადგილას; ცხოველის სიცოცხლესთან შეუთავსებელი მდგომარეობის შემთხვევაში კი ცხოველის ევთანაზია.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან, აღნიშნული ტენდერის ფარგლებში, ზემოთხსენებული მომსახურება გაეწია 50 ერთეულ მაწანწალა ცხოველს.

მიმდინარე წლის 9 ივლისს ჩვენი სამსახურის მიერ ისევ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი SPA200001688, ღირებულებით 2000 (ორი ათასი) ლარი, რომლის ფარგლებშიც მოხდება 20 ერთეული მაწანწალა ცხოველის დეჰელმენტიზაცია (დამუშავება ჭიებზე, ბაქტერიებზე), სტერილიზაცია/კასტრაცია, ანტირაბიული და კომპლექსური ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია (სპეციალურად ძაღლებისათვის განკუთვნილი ქარხნული დანომრილი საჭდით, ბირკით), ყველა საჭირო პროცედურის შესრულების შემდგომ დაბრუნება აყვანის ადგილას“.

ისღა დაგვრჩენია, რაც შეიძლება მოვერიდოთ მაწანწალა ძაღლებს, არ გავუშვათ ქუჩაში პატარა ბავშვები უმეთვალყურეოდ, ახალი მაწანწალა ძაღლების გაჩენის შემთხვევაში დაუკავშირდით ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალურ სამსახურს, მობილური ტელეფონით 595 45 32 62.

ასეთ პირუტყვს სტერილიზაცია რომ გაუკეთდება, აღარ გამრავლდებიან და დაავადებებს აღარ გადასდებენ, ესეც არაა პატარა საქმე.

ი. იმედაძე

ადამიანები, რომლებიც წლებს არ ნებდებიან

80 წლის ილია ბერძული— რედაქციის სტუმარი



ეს სახელი ამჟამინდელი თაობისთვისაც კარგად არის ცნობილი, მაგრამ ჩვენთვის, „ძველებისთვის“ განსაკუთრებული ჟღერადობისაა. თუ რატომ, ამას ადვილად მიხვდება მკითხველი, როცა ამაგდარი ადამიანის მიერ ავტობიოგრაფიულ ეპისტოლეს ჩაავლებს თვალს. არა, „ჩაავლებს“ კი არა—გულდასმით გაეცნობა!

მივყვეთ სტრიქონ-სტრიქონ:

„ადამიანი 80 წელს რომ მიაღწევს, მისთვის განვლილი დრო უმნიშვნელოა და მისი ხედვა კვლავ მომავლისკენაა მიმართული. თუმცა, არავინ იცის განგება რას უმზადებს თითოეულ მათგანს და სად და როდის დაასრულებს იგი ამქვეყნიურ ცხოვრებას.

ჩემი საყვარელი გაზეთ „თერჯოლის“ მეშვეობით, მინდა ჩემი ცხოვრების განვლილი წლების შესახებ ზოგი რამ ვუამბო ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას.

დავიბადე 1940 წლის 21 სექტემბერს, დღით ღვთისმშობლობას, მაშინდელი ქუთაისის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთში. დიდი სამამული ომის დაწყებისას 9 თვის ასაკში, ორ უფროს ძმასთან ერთად, დავრჩით დედისა და მოხუცი ბებიის ამარად, რადგან მამა ფრონტზე იქნა გაწვეული. როგორც ყველა ოჯახს, გვიჭირდა ჩვენ, თუმცა გვქონდა შრომისმოყვარე ოჯახი, რის წყალობითაც გადავურჩით ცხოვრების მძიმე გამოწვევებს.

1958 წელს წარჩინებით დავამთავრე მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი და იმავე წელს მუშაობა დავიწყე ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობაში დარგის სპეციალისტად. 1969 წელს დამაწინაურეს თერჯოლის რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარ ზოოტექნიკოსის თანამდებობაზე, სადაც 1977 წლამდე ვმოღვაწეობდი. 1977-80 წლებში მეცხოველეობის სამეურნეებათაშორისო საწარმოს მთავარი ზოოტექნიკოსი გახლდით.

1980 წელს ამირჩიეს სოფელ ნახშირღელის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ. ამავე წლის მაისში მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭოს თავმჯდომარედ გამამწესეს. 1985 წლიდან ვმუშაობდი თერჯოლის რაიონის სოფლის მეურნეობის აგროსამრეწველო სამმართველოს მთავარ ზოოტექნიკოსად. ხოლო 1995 წლიდან 2004 წლამდე თერჯოლის საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორად.

2004 წლიდან ვარ პენსიაზე, მყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი. ვეწევი აქტიურ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

განვლილი რვა ათეული წლის განმავლობაში მრავალი სასიხარულო თუ საწყენი რამ შემხვედრია, მაგრამ მუდმივად ახლის ძიებაში ვიყავი, ხშირად ვპოულობდი. ხელიც მომცარვია, მაგრამ ვიბრძოდი...

მქონდა საინტერესო სამსახურებრივი მივლინებები ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში: რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ლიტვასა და ესტონეთში, ეს მივლინებები განპირობებული იყო რაიონის მეცხოველეობაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის, ჯიშთა განახლების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების პრაქტიკაში ფართოდ დანერგვის უზრუნველსაყოფად.

ამ ყველაფერმა შემძინა გამოცდილება და თუ მსურველები იქნებიან და გაზეთსაც ფართის გამოყოფის საშუალება ექნება—სიამოვნებით გავუზიარებ მეცხოველეფერმერებს ჩემეულ ხედვებსა და მოსაზრებებს.

პატივისცემით

ილია ბერძული.

რედაქციისაგან: ვფიქრობთ ბატონი ილიას შემოთავაზება მისაღებია და სასურველი. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვაწოდოთ სურვილები, შეკითხვები, მოსაზრებები... ეს ყველაფერი კი ჩვენს საერთო საქმეს წაადგება.

თავში სათქმელი კი ბოლოსთვის შემოვინახეთ: ბატონო ილია, უპირველესად გილოცავთ 80 წლიან იუბილეს. გვიხარია, რომ კვლავ ფორმაში ხართ—მხნე, ბრძოლისუნარიანი, მოაზროვნე, იმედიანი და ა.შ. ასევე გვენახეთ კვლავაც. თქვენ თქვენი სათქმელი სიტყვა თქვით. თქვენი ხნული გაუმრუდებლად გაატარეთ. უკან მოხედვის არ გეშინიათ. მომავალს იმედის თვალით გაჰყურებთ...

ოჯახი კარგად გიმყოფოთ.

თქვენისთანა კაცები შვენიან სოფელს, საზოგადოებას.

გაზეთი „თერჯოლა“ იგულეთ თქვენს გვერდით.

მოამზადა ნუგზარ გამყრელიძემ

ლანჩხუთის თეატრმა „დარისპანის გასაჭირი“ ღია ცის ქვეშ წარმოადგინა

დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის” მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა ლანჩხუთის ეგნატე ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრმა ღია ცის ქვეშ, ვალოდია წულაძის სახელობის თეატრისა და კინოს მუზეუმში, გურული ოდის ფონზე გამართა,— ამის შესახებ ინფორმაციას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სპექტაკლი ცოცხალი მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა.

აზნაურ დარისპან ქარსიძის საკმაოდ რთული ყოფა-ცხოვრება, დავით კლდიაშვილის ნაწარმოების მიხედვით, რეჟისორმა ოთარ ქათამაძემ დადგა. მისი თქმით, ძალიან მოკლე დროში დაიდგა სპექტაკლი და მთელი სამსახური მუშაობდა, რათა ეს სპექტაკლი გამოსულიყო ისეთი, როგორიც გამოვიდა.

„ძალიან მოკლე დროში დაიდგა სპექტაკლი. სწორი გუნდი შეიკრიბა, მთელი სამსახური მუშაობდა, რათა ეს სპექტაკლი გამოსულიყო ისეთი, როგორიც გამოვიდა. ჩემთვის ეს პირველი სპექტაკლია ლანჩხუთში და ძალიან მნიშვნელოვანი იყო, როგორ მიიღებდა მას მაყურებელი“,— განაცხადა **ოთარ ქათამაძემ.**

პრემიერას საქართველოს პარლამენტის დეპუტატი **ნინო წილოსანი,** სახელმწიფო რწმუნებული გურიაში **ზურაბ ნასარაია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი, **ალექსანდრე სარიშვილი** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

„ვიდრე ურემი გადაბრუნდება“

უფრო აქტიურად ძალადობის პრევენციისაკენ

„ძალადობის თემა ყოველწლიურად სულ უფრო რეზონანსული ხდება. საკითხისადმი დაინტერესება მაღალია სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, არსებითად შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულებაც. მიუხედავად ამ ცვლილებებისა, ძალადობის მაჩვენებელი ისევ მაღალია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა ისევ პრიორიტეტულია... უფრო მეტიც... ლამის განგაშის ზარებია ასატეხი...

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ და აღნიშნული ფონდის მობილიზატორი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რუსუდან კოვზირიძე მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ძალადობის პრევენციის მიზნით, განხორციელებული პროექტებით, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა სფეროსა და საზოგადოების წარმომადგენლები... როგორ დაეხმარონ ძალადობის მსხვერპლს, მაშინ, როცა საზოგადოებაში ჯერ კიდევ მოქმედებს სტერეოტიპული მიდგომები და ოჯახები თუ თავად ძალადობის მსხვერპლნი არ ახმაურებენ ამ ფაქტებს და ცდილობენ საკუთარი პრობლემის შეფუთვას.

შეიძლება ითქვას, რომ ხუთმა პროექტმა, რომელიც ძალადობის პრევენციას ემსახურება შექმნა გარკვეული პრაქტიკა და გამოცდილება რა უნდა გაკეთდეს ამ კუთხით მომავალში.

ამ თემას ეხმაურება და თავის მოსაზრებებს გვიზიარებს სსიპ ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი ხათუნა აბჟანდაძე.

ჩემი ურთიერთობა „თერჯოლის მოსწავლე–ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრთან“ მრავალ წელს ითვლის. ქალბატონ რუსუდან კოვზირიძის თაოსნობით ეს ცენტრი მუდამ წარმატებულად და ნაყოფიერად ახორციელებს თავის საქმიანობას. ცენტრის მიერ ორგანიზებულ ბევრ სასარგებლო პროექტში მიმიღია მონაწილეობა, მათ შორის აღსანიშნავია პროექტები: „ძალადობის ბორბალი“, „საქმით ვძლიოთ ძალადობასა და სიღარიბეს“, შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატში.

წარმატებული პროექტების განხორციელებისას „მოსწავლე –ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი“ აქტიურად თანამშრომლობს „ფონდ სოხუმთან“. გასულ წელს მხვდა პატივი წილად, მონაწილეობა მიმეღო „ფონდი სოხუმის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგში –„პედაგოგების როლი ძალადობის პრევენციასა და მსხვერპლთა დაცვაში“. სსიპ ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლის პედაგოგებს გავლილი გვქონდა ტრენინგი ბულინგის თემაზე. მიღებული ცოდნის გაღრმავება, სრულყოფა და სინთეზი, ეს იყო ამ აქტივობების შედეგი. გასულ წელს, III „გ” კლასში ჩავატარე შეხვედრა „ფონდი სოხუმის“ ხელშეწყობით თემაზე – „ბულინგის პრევენცია“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები, მათი მშობლები, პედაგოგები, სკოლის დირექცია და „ფონდი სოხუმის“ წარმომადგენელი ქალბატონი თეა გოლეთიანი. შეხვედრა დატვირთული იყო მრავალფეროვანი აქტივობით (გაიმართა დისკუსია, განხილული იქნა სიტუაციური ამოცანები, მოეწყო ფილმის ჩვენება). შეხვედრის დასასრულს გამოითქვა სურვილი მსგავსი აქტივობა ჩატარებულიყო უფრო ფართო აუდიტორიისათვის. შეხვედრის მიზანი იყო ბულინგის დეფინიცია, მისი სახეების გაცნობა, პრევენციის როლზე ყურადღების გამახვილება და მსხვერპლთა დაცვის საკითხები.

მსგავს პროექტებსა და აქტივობებში მონაწილეობა პედაგოგს ეხმარება ჩაწვდეს ძალადობის არსს, ადვილად ამოიცნოს ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი და იზრუნოს ძალადობის მსხვერპლთა დაცვაზე კომპეტენტურ უწყებებთან აქტიური თანამშრომლობით. მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება კოლეგებისათვის, ახლობლებისათვის, სოციუმისათვის მნიშვნელოვნად შეამცირებს ძალადობის შემთხვევებს. პრევენციული ღონისძიებები თავიდან აგვარიდებს ძალადობის ფაქტებს. უფრო ადვილი და უმტკივნეულოა პრობლების გადაჭრა ჩანასახშივე, სანამ იგი ფესვებს მოიმაგრებს და თუ მაინც გვექნება ძალადობის ფაქტების გამოვლენა, ყველას ვალია, არ იქნას ფაქტი უგულებელყოფილი და დავეხმაროთ როგორც მსხვერპლს, ასევე მოძალადეს, „ბულერს“.

P.S. რუბრიკა „ვიდრე ურემი გადაბრუნდება“ მომავალშიც გააგრძელებს აღნიშნულ თემაზე მოსაზრებების გაზიარებას. ნებისმიერს შეუძლია გამოგვეხმაუროს და თავიანთი წინადადებები მოგვაწოდოს.

სხვადასხვა

იქნებ კორონამ მაინც გადაგვაჩვიოს... კოცნაობას

„ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი მრუში,
რა მოშორდეს მოყვარესა გაამრავლოს სულთქმა, უში.
გული ერთსა დააჯეროს კუშტი მოხვდეს, თუნდა ქუში,
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში“...
არადა...

„ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში“ სულ ახლო წარსულში ადამიანებს, მ.შ. სახელმწიფო მოღვაწეებს, დიპლომატებს, ათასი ჯურის თვალთმაქცებს, შეყვარებულებს თავისთავათ და ა.შ. ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი...

თანაც, კოცნა კოცნას გააჩნია! სამმაგი, გადაჯვარედინებული, ლოყებმონაცვლეობითი... ხანგრძლივი ხელის რთმევისა და ზურგზე ხელის მოთათუნების თანხლებით...

ეს ყველაფერი გულწრფელი რომ ყოფილიყო რა ლამაზი იქნებოდა ეს ცისქვეშეთი!..

როდის ჩავრთოთ ტელევიზორი?

ისმის ხმა. ჩართეთ ტელევიზორი, ინფორმაცია იწყება.

არა, ჯერ არ ჩართოთ ერთი ოცი წუთი, ბარემ დამთავრდეს „ცხელ-ცხელი“ ამბები: ყაჩაღობებზე, ქურდობებზე, ხანძრებზე, სეტყვაზე, ტყის ხანძრებზე, გაზის აფეთქებებზე, მიწისძვრებზე, მზის დაკვრებზე, დანის დაკვრებზე, გაუპატიურებასა და გაუპატიურების მცდელობებზე, თვითმფრინავების ჩამოვარდნებზე, გემების ჩაძირვებზე, გრიპებზე, მეზობლურ დავებზე, ოჯახურ ძალადობებზე, ცილისმწამებლობებზე და სხვა მსხვილმან თუ წვრილმან დანაშაულობებზე...

* * *

დედის დიდაქტიკა—

—ახლავე გამორთე ტელევიზორი და წიგნი გადაშალე. მაგ სერიალების ყურება გაყურებინებს სეირს!

პასუხი:

—დე, ტელევიზორი გამოვრთე, ახლა სათამაშოდ წავალ და რომელი წიგნი დავტოვო გადაშლილი?

* * *

გაკვეთილზე: აბა, ბავშვებო, ვინ მიპასუხებს—სად არის საქარა?

მოსწავლეები ერთხმად—ზესტაფონში;

აბა, ვინ მეტყვის რატომ არის მზე ამოსვლისას ცივი, შუადღისას კი ცხელი?

მოსწავლეთა პასუხი „ლოგიკურია“—იმიტომ რომ, გუშინ საღამოს ზღვაში ჩასვლისას გასველდა, ახლა ცოტას შეშრება და მალე ისევ გაცხელდება.

მოიძიეთ პასუხები და გაერთეთ...

—ამ კაცმა თავის მძიმე ჯვარი ზიდა.
—სადაური იყვნენ ის ბიჭები?
—მას ქმარი გარდაეცვალა.
—მან მსოფლიო აალაპარაკა... სიმუნჯით.
—ის მედუქნეს ფულის სანაცვლოდ ლენინის ორდენს უტოვებდა ხოლმე.
—ის თავზარდამცემი იყო როგორც ვულკანი და ლამაზი, როგორც ტანგო.
—სიყვარული ვის უნდა?
—ბოლოს და ბოლოს სკანდეა სწორი თუ სკანდა?
—რომელი წლიდან იწოდება თერჯოლა ქალაქად?
—ლეონარდო და ვინჩი ძმები იყვნენ, თუ?
—საქმეს როდის უნდა მივხედოთ?
—ფაროსანა დავიფრინეთ, ახლა ვისი ჯერია?

პასუხებს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

მხოლოდ თარიღები...

როგორც „უხსოვარი“ დროის წარმომადგენელს, ახალგაზრდები ხშირად მეკითხებიან „როდის, სად, რა მოხდა“ თერჯოლის რაიონის სინამდვილეში?

თავი მოვუყარე და დაინტერესებულ პირებს ვაწვდი მათთვის საინტერესო მნიშვნელოვანი მოვლენების არასრულ ჩამონათვალს:

1977—ფუნქციონირებას შეუდგა „საპოვნელას“ მოსწავლეთა ბანაკი;
1983—თერჯოლას მიენიჭა რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი;
1983—გაიხსნა ქორწინების სახლი „ვაზის ყვავილობა“;
1983—ჩხარს სტუმრობდა გამოჩენილი ფეხბურთელი დავით ყიფიანი;
1985—აიგო ოთხი ძმის ძეგლი;
1985—თბილისის „დინამო“ სტუმრობდა თერჯოლას;
1985—გაიხსნა დავით კლდიაშვილის ძეგლ-მემორიალი; გმირთა დიდების ძეგლ-მემორიალი; კინოთეატრი „გამარჯვება“; „საპოვნელას“ სტადიონი (სტუმართა შორის იყო ბორის პაიჭაძე);
1986—დაარსდა გაზეთ „წინსვლის“ სახელობის საჭადრაკო კლუბი „გამსვლელი პაიკი“;
1993—„საპოვნელას“ ფეხბურთელთა გუნდი გადავიდა უმაღლეს ლიგაში;
1995—თერჯოლას სტუმრობდა გერმანელი თეატრალური მოღვაწე ჰერმან ვედეკინდი;
2009—გამოიცა ენციკლოპედია—„ჩხარი“;

1941-45 წლებში დიდ სამამულო ომში იბრძოდა საქართველოს 700 000 მეომარი, აქედან 5103 თერჯოლელი იყო, რომელთაგან 2766 შინ აღარ დაბრუნებულა.

ფრთხილად: კორონავირუსი არ წასულა!

საკმარისი არ არის: ხელს ბანდე და პირს ბანდე
აუცილებელია ატაროთ პირბადე!

შემოდგომაზე, როცა ეგ. წ. გრიპიანობის სეზონი იწყება, კორონავირუსმა ახალი ძალით შემოგვიტია. სიფრთხილე გვმართებს!

მედიკოსები ამიტომ მოგვიწოდებენ ელემენტარული წესების დაცვისაკენ.

ჩვენც ავდგეთ და ყურად ვიღოთ კეთილი რჩევანი:

სასურველია ვჭამოთ: ვაშლი, კომბოსტოს მწნილი, ლიმონი, სტაფილო, ფორთოხალი. ისინი დაგვიცავენ გაციებისაგან, თავიანი ხახვი სპობს მიკრობებს. ინფექციას ებრძვის: წითელი და მწვანე წიწაკა, ასევე შავი პილპილის მარცვლები, იმუნიტეტს ააქტიურებს ნიორი, სასურველია მიიღოთ ქათმის ბულიონი.

ცივ ამინდში გარდა ცხელი ჩაისა, შეიძლება დალიოთ ცხელი წვენი ყურძნისა და ფორთოხლის წვენის ნარევი, დანის წვერით დაამატეთ დარიჩინი და ერთი ცალი მიხაკი.

და, კიდევ ერთხელ, როგორც არაერთხელ გვითქვამს—კორონავირუსი ასე ადვილად არ აპირებს პოზიციების დათმობას, ფეხს ითრევს, არავინ იცის რა ახალ სიურპრიზებს გვიმზადებს, ამიტომ მეტი და მეტი სიფხიზლე გვმართებს...

ფაროსანა დავაფრთხეთ—თხილი გამოჯანმრთელდა!

უცნაური სათაური კი გამოგვივიდა, მაგრამ საამოდ მოსასმენია, რომ ქართული თხილი ისევ იბრუნებს თავის პოპულარობას. ის კვლავ ესტუმრება ქართულ და ევროპულ ბაზრებს.

სასიხარულოა, რომ ამ ძვირფასმა მცენარემ ძველებურად დაიმძიმა ტოტები სავსე და საღი ნაყოფით.

მოვეფეროთ, მივესათუთოთ, ნუ მოვაკლებთ მზრუნველ ხელს. როგორც მეხილე აგრონომები და ამ საქმეში გამოცდილი ფერმერები მოგვიწოდებენ მიწა დროულად შემოვუბაროთ, შესაბამისი შხამქიმიკატებიც არ მოვაკლოთ.

სხვა დარიგებებიც ყურადღებით მოვისმინოთ ამ საქმის მცოდნეთაგან...

მერე, ავდგეთ და ვკრიფოთ და ვკრიფოთ...

ახლა ბაზრებში ლამის ყოველი ფეხის ნაბიჯზე თხილის მიმღები პუნქტებია გახსნილი: „თხილს ვიბარებთ!“, „თხილს ვიბარებთ“, „ვიბარებთ თხილს“ მოგვიწოდებენ ყოველი მხრიდან.

მადლობა შენ, მადლიანო მიწავ ქართულო; მადლობა ჩვენო მშრომელო კაცო შრომის და ოფლის ფასი რომ იცი, რომ შეგიძლია ნებისმიერ გამოწვევას დაუდგე და უკუაგდო, როგორც ეს ვერაგ ფაროსანას დამართე.

თუმცა ის ჯერ კიდევ ბოგინობს, მაგრამ იყო და არა იყო რა, მალე დაგვიქნევს ხელს...

მადლობა შენ, რომ სიყვარულის და ძმობის ფასი იცი, სხვა შემთხვევაში საქართველოს წიაღში არ აღმოცენდებოდა საოცარი სიტყვები: „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო“... გაიხარე, უხვი შემოდგომა დაგიდგეს!

ნუგზარ იშხნელი

ქართული ფეხბურთის მძიმე დანაკლისი

გარდაიცვალა ზურაბ ნემსაძე



გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი გამოჩენილი ოსტატი თერჯოლის მკვიდრი ზურაბ ნემსაძე.

გულისტკივილით იწერება ეს სტრიქონები. მას ჯერ კიდევ უნდა ეცოცხლა, ჯერ კიდევ სჭირდებოდა ოჯახს, ფეხბურთის უამრავ მოყვარულს... ჯერ კიდევ ჰქონდა რესურსი ბოლომდე დახარჯულიყო და როგორც მწვრთნელს მდიდარი გამოცდილება სრულად მოეხმარებინა თავისი საყვარელი საქმისათვის—აღეზარდა თავისავე მსგავსი მაღალტექნიკური, მუხლმაგარი და გამარჯვებისათვის გულანთებული ფეხბურთელები.

მაგრამ...

დასანანია, რომ ეს ასე არ მოხდა. განგებამ არ ინება კვლავ ენათებინა ზურაბ ნემსაძის ვარსკვლავს...

ის სტკივა ჩვენს დედაქალაქს, ქუთაისს, მშობლიურ თერჯოლას; სტკივა ლანჩხუთს, სადაც სრულად გამოვლინდა მისი, როგორც დიდი ფეხბურთელის უზადო ნიჭი.

თერჯოლაში 1955 წლის 13 იანვარს დაიბადა ფეხბურთელის ოჯახში (მამა დათიკო ნემსაძე მაშინდელ საკოლმეურნეო ფეხბურთელთა გუნდის მეკარე გახლდათ). ადრეული ბავშვობიდანვე გამოავლინა ფეხბურთისადმი მიდრეკილება და ნიჭი.

გლდანის სპორტული პროფილის ინტერნატში სწავლისას, 1972 წელს, თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა გივი ჩოხელმა ის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობაში აიყვანა. არც შემცდარა, არ უმტყუნა ალღომ გამოჩენილ ოსტატს...

ზურა, როგორც იტყვიან თვალდახელშუა იზრდებოდა, მისი დებიუტი კი 1974 წელს მოსკოვის „ტორპედოს“ წინააღმდეგ შედგა. ზურაბი 1974 წელს თბილისის „ლოკომოტივში“ ასპარეზობდა;

1975 წელს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩაირიცხა და ამ სასწავლებლის გუნდის შემადგენლობაში მოიგო საქართველოს თასი.

1976 წელს, ის, როგორც საიმედო ცენტრალური მცველი „გურიის“ შემადგენლობაში მიიწვიეს. იმავე სეზონში საკავშირო „ა“ კლასის მეორე ლიგის მესამე ზონის ჩემპიონატის ტიტული მოიპოვა; მონაწილეობა მიიღო საკავშირო პირველ ლიგაში გადასასვლელ ორ მატჩში სვერდლოვსკის „ურალმაშის“ წინააღმდეგ;

ზურაბმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1977 წლის 10 აპრილს მოსკოვის არმიელთა გუნდთან გამართულ სათასო პაექრობაში. ჟიურიმ ის მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა.

წარმატებები გრძელდებოდა: იმავე სეზონში დაეუფლა შოთა შავგულიძის სახელობის თასს, 1978 წელს საკავშირო „ა“ კლასის მეორე ლიგის ვერცხლის პრიზიორია, მომდევნო წელს „გურიასთან“ ერთად საკავშირო „ა“ კლასის მეორე ლიგის მეოთხე ზონის ჩემპიონის ტიტულსა და საკავშირო პირველი ლიგის საგზურსაც ეუფლება;

ზურაბი 1980 წლიდან წარმატებით გამოდიოდა საკავშირო პირველ ლიგაში.

1982-85 წლებში ქუთაისის „ტორპედოსა“ და მშობლიური „საპოვნელას“ ღირსებას იცავდა.

1987 წელს „საპოვნელას“ გუნდის უფროს მწვრთნელად დაინიშნა, შემდეგ თბილისის ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „ოლიმპიკის“ მწვრთნელად მიიწვიეს.

2001 წლიდან თერჯოლის ბავშვთა კომპლექსის სპორტულ სკოლაში თავის მდიდარ გამოცდილებას გადასცემდა მომავალ ფეხბურთელებს.

უამრავმა ადამიანმა: ყოფილმა ფეხბურთელებმა, ვრცელმა სამეგობრომ, საზოგადოებამ ოჯახთან ერთად დაიტირეს ეს შესანიშნავი სპორტსმენი და მოქალაქე.

ნათელში ამყოფოს.

ვალერიან გოგიაშვილი,
ნუგზარ გამყრელიძე

ავტორთა მინაწერი: ახლა, ეს, იქნებ საუფლო გზისკენ მიმავლისადმი დაგვიანებული უკან მიდევნებული ლამპარი იყოს, მაგრამ:

თვალი უნდა გავუსწოროთ რეალობას—საზოგადოებამ სათანადოდ მოუარა თუ არა ადამიანს, რომლის თამაშის საყურებლადაც ასე ძალუმად მიუწევდა გული სტადიონისაკენ...

უახლოესი მეზობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ადამიანი, ინჟინერი

შუქურ მაკარიძე-ზარნაძისა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული საგამოცდო მარათონის წარმატებული...

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ეროვნული გამოცდების შედეგად, თერჯოლის საჯარო სკოლების მოსწავლეებიდან ჩარიცხულმა ორმა ასპროცენტიანი გრანტი მოიპოვა. ესენი არიან: თამთა გოგიაშვილი (რუფოთი) და ქრისტინე ჩიტიძე (ჩხარი). „თერჯოლა“ ულოცავს თითოეულს ამ წარმატებას და დღევანდელ ნომერში უფრო ახლოს გაგაცნობთ ერთ-ერთ მათგანს...

ეს თამთა გოგიაშვილია...

გოგონა, რომელმაც ჯერ კიდევ მოსწავლეობისას მიიპყრო არა მხოლოდ თავისი სოფლის საჯარო სკოლის პედაგოგთა, არამედ, სრულიად თერჯოლის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა ყურადღება. თამთა რუფოთის საჯარო სკოლის წლევანდელი, 2019-2020 სასწავლო წლის ოქროს მედალოსანი კურსდამთავრებულია. ეს ფაქტი გარკვეულწილად მეტყველებს იმაზე, რომ გოგონა ნიჭიერი, ბეჯითი, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია.

რუფოთის საჯარო სკოლის დირექციას, დირექტორს კოტე



გოგიაშვილს, თამთას კლასის დამრიგებლებს: გულო სისაურსა და ანერი მემანიშვილს, მათემატიკის მასწავლებელს სულიკო კუბლაშვილს, თითოეულ პედაგოგს, რომელსაც თამთას სწავლა-აღზრდაში გარკვეული წვლილი მიუძღვის, ასევე თამთას მეორე უმნიშვნელოვანეს „სკოლას“, თერჯოლის „მოსწავლე-ახალგაზრდობის“ ცენტრის დირექტორს და „ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების“ კლუბის კოორდინატორს რუსუდან კოვზირიძეს, კლუბების: „თვითმმართველობის დარბაზს“, „დებატებისა“ და „უხილავი ხილულის“ კოორდინატორებს: ლიკა ქარქაშაძეს, დარეჯან მემანიშვილს, ლეილა სირაძეს და სხვებს, ასევე თამთას მშობლებს აქვთ უფლება იამაყონ თამთას მიერ დღემდე მიღწეული წარმატებებით. იმედია, თამთა მომავალშიც არაერთხელ გაახარებს თითოეულ მათგანს.

თამთა პირველი კლასიდან მეთორმეტეს ჩათვლით სწავლაში ერთ-ერთი გამორჩეული მოსწავლე იყო, რუფოთის საჯარო სკოლაში, აქტიური და გამორჩეული იყო აგრეთვე სასკოლო ღონისძიებებშიც. თამთა მასზე ერთი წლით უფროს ძმასთან, გალაქტიონ გოგიაშვილთან ერთად, სამი წლის განმავლობაში იღებდა მონაწილეობას მათემატიკურ ოლიმპიადებში, რომელიც იმ დროს, კერძო სკოლა „მზეკაბან—2007“-ის დირექტორის, ქალბატონ ნინელი გვენეტაძის ინიციატივითა და ორგანიზებით დაარსდა და ტრაგიკულად დაღუპული სოსო მაკარიძის ხსოვნის პატივსაგებად მისი მშობლების ჩართულობითა და დაფინანსებით ყოველწლიურად ტარდებოდა, რომელშიც მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. თამთამ სამივე წელიწადს პირველი ადგილი და შესაბამისი ფულადი თანხა მიიღო ჯილდოდ. ხოლო გალაქტიონმა მეორე წელს, მეორე, ხოლო მესამე წელს ასევე პირველი ადგილი დაიკავა და შესაბამისად ფულადი ჯილდოც დაიმსახურა.

თამთა და გალაქტიონი ასევე ბოლო ორი წლის განმავლობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ეროვნული სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებულ მათემატიკურ ოლიმპიადებში. ორივე მათგანი ორივეჯერ გადავიდა მესამე ტურში.

გასულ წელს, გალაქტიონისა და თამთას წარმატებული შედეგების მიხედვით, რუფოთის საჯარო სკოლა ქვეყნის მასშტაბით მესამე ადგილზე გავიდა კომაროვისა და ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლების შემდეგ. ხოლო თამთას წილად ხვდა იმის ბედნიერება, რომ მესამე ტურში გადასულ ბავშვებთან ერთად მოხვედრილიყო ორკვირიან საზაფხულო სამეცნიერო ბანაკში, წყნეთის, ბაქსვუდის სკოლაში.

გასულ წელს თამთას, როგორც სწავლის წარჩინებულს, ერთი წლის განმავლობაში, სტიპენდია დაუნიშნა თერჯოლატყიბულის ოლქის საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ელგუჯა გოცირიძემ.

***

როგორც თამთა აღნიშნავს, მის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში დიდი როლი სკოლასთან და ოჯახთან ერთად ითამაშა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრმა, სადაც სამი წელი თვითმმართველობის „დარბაზის“ წევრი, ხოლო აქედან 1 წელი „დარბაზის“ თავმჯდომარე იყო, თამთა იყო აგრეთვე კლუბების: „დებატების“ და „უხილავი ხილულის“ წევრი, მონაწილეობდა ინტელექტუალურ თამაშებში, იყო აგრეთვე თამაშების წამყვანი. 2017 წელს რუფოთის საჯარო სკოლის გუნდი რაიონის მასშტაბით პირველ ადგილზე გავიდა, გუნდის შემადგენლობაში ამ დროს თამაშობდნენ თამთა და გალაქტიონი.

თამთა ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო აგრეთვე ცენტრის „ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების კლუბის“. ამ ყველაფერმა მას დიდი ცოდნა და გამოცდილება შესძინა, გაუფართოვა თვალსაწიერი, იყო არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების თუ აქტივობის წამყვანი როგორც ცენტრის, ასევე რაიონული მასშტაბის ღონისძიებებისა.

თამთას უყვარს ხელოვნება—ლიტერატურა, პოეზია. დიდი გატაცებით და სიყვარულით კითხულობს ლექსებს... და მრავალგზის მოუხიბლავს მაყურებელი ლამაზად წაკითხული ლექსებით.

დასრულდა თერჯოლური ცხოვრების ეტაპი, დასრულდა წარმატებულად. ახლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს პირველი წარმატებული ნაბიჯი უკვე გადადგმული აქვს, 100%-იანი გრანტის მოპოვებაა ამის დასტური. ახლა თამთა თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის, კომპიუტერული მეცნიერებების სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტია. დიახ, თამთამ იგივე სპეციალობა აირჩია, რაც გასულ წელს გალაქტომ, რომელმაც 70%-იანი გრანტი მოიპოვა და ახლა აღნიშნული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია.

თამთას, როგორც ამბობს, ბავშვობიდან აქვს სიყვარული და ინტერესი კომპიუტერული მეცნიერების, თანაც 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების ხანაა, რომლის გარეშე უკვე წარმოუდგენელია ცხოვრება, განვითარება, წინსვლა. მიაჩნია, რომ მისი საფუძვლიანი შესწავლა და გამოყენება ქვეყნის სასიკეთოდ ძალზე მნიშვნელოვანია.

თამთა აპირებს აქტიურად ჩაებას უნივერსიტეტის საერთო ცხოვრების ფერხულში, სტუდენტთა სამეცნიერო წრეებსა თუ კონფერენციებში, მხატვრულ ღონისძიებებში და ა.შ.

მაქვს მოლოდინი არაერთ წარმატებულ ნაბიჯს გადადგამს თამთა ცხოვრების გზაზე... მაქვს აგრეთვე მოლოდინი, რომ თავის წილ აგურს დადებს ქვეყნის განვითარებასა და აღმასვლაში.

მუდამ „მწვანე“ შუქი და უფლის თანადგომა მის გზა-სავალს.

დედა ნახე, მამა ნახე...

არ შემიძლია ეს სტატია ისე დავასრულო, რომ ორიოდე სიტყვით ის ქართული, ტრადიციული, ფუძეძლიერი, ზნეობრივი ოჯახი არ გავაცნო ჩვენს

მკითხველებს, სადაც ეს ორი ულამაზესი, უჭკვიანესი, შრომისმოყვარე და ყველა საუკეთესო თვისებებით შემკული ახალგაზრდა გაიზარდა და ჩამოყალიბდა.

ეს სწორედ ის შემთხვევაა, რომ გვათქმევინებს: „დედა ნახე, მამა ნახე“... მშობელთა პირადი მაგალითი განსაზღვრას უმეტეს შემთხვევაში შვილების წარმატებას. თუმცა არა მხოლოდ დედ-მამა-ოჯახში სასახელო წინაპართა ტრადიცია გრძელდება...

დედა ნინო ქლიბაძე წარმატებული პედაგოგია „წამყვანის“ სტატუსით რუფოთის საჯარო სკოლაში, მამა დიმიტრი გოგიაშვილი ასევე წარმატებული ინჟინერია.

ბაბუამ, გოლა გოგიაშვილმა, რომელიც ამქვეყნიდან ნაადრევად, 65 წლის ასაკში, წავიდა ზნეობის, კაცურკაცობის და ქართული სტუმარ-მასპინძლობის ისეთი სახელი დაუტოვა შთამომავლობას, რომლითაც თაობებმა შეუძლია იამაყონ. ასევე სამაგალითონი და ღირსეული პიროვნებები იყვნენ მათი დიდი ბაბუა-ბებია ნინა და გალაქტიონ გოგიაშვილები. გადმოცემით, ასეთივენი იყვნენ მათი წინაპრები.

ლამარა ბებო კი დღემდე ასაზრდოებს შვილიშვილებს კეთილი რჩევა-დარიგებებით და წარსული მოგონებებით...

კეთილი კვალი, კეთილად განაგრძობს აღმავლობას...

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა,კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი,ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872